წერილის ნომერი: **18-01203431628**
თარიღი: **08/12/2020**
პინი: **9468**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2020 წლის 1 დეკემბრის №60-01203361922 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (ექსპერტ ს. ფიცხელაურის მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნა, ტოპო. გეგმა საპროექტო შენობის განთავსების სქემით), რომლითაც მოქალაქე ნიკა ბოჭორიშვილის განაცხადის (AR1782765) საფუძველზე ითხოვთ, შპს ,,კატევე დეველოპმენტის‘‘ (საიდენტიფიკაციო N405172977) საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქალაქ თბილისი, ტარიელის ქუჩა N13, N9 (ნაკვეთი N17/14) N15 (15ბ) მიმდებარედ; ს.კ.: 01.15.05.017.034) (სზ-3; ტზ-1) III კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე, მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით, სამსახურის პოზიციას.

საექსპერტო დასკვნის თანახმად, ტერიტორიაზე ფიქსირდება 19 ძირი მცენარე.

ატვირთული ტოპო. გეგმის მეშვეობით ვადგენთ განმცხადებლის მოთხოვნას, მწვანე ნარგავებთან მიმართებაში.

მშენებლობის მიზნით დაგეგმილია 5 ძირი ხილ-კენკროვანი ჯიშის მცენარის (N1 ლეღვი; N2 კომში; N16 ქლიავი; N17 მუშმალა; N18 ტყემალი) მოჭრა და 4 ძირი აკაციის ხის (N11 -7.6სმ; N7-9.6სმ; **მათ შორის - დიდი დიამეტრის მქონე (25სმ-ზე მეტი) N9-32.5სმ; N3-46.2სმ)** იმავე ტერიტორიაზე გადარგვა.

რადგან საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად ვადგენთ, რომ **N9 აკაციის ხესთან -32.5სმ** მიმართებაში დაცულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით N17-55 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლის და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) 26-ე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული პირობა, კერძოდ, საპროექტო შენობასა და ხეს შორის მანძილი **3 მეტრზე მეტს** შეადგენს, შესაბამისად, აღნიშნული ხის გადარგვის აუცილებლობა არ არსებობს.

ამასთან გაცნობებთ, რომ მრავალწლოვანი ეგზემპლარების ბუნებრივი გარემოდან ამოღება და ახალ ტერიტორიაზე გადატანა დაკავშირებულია ახალ გარემოსთან ადაპტაციასთან, რაც დიდი ალბათობით (ხის ზომიდან გამომდინარე) გამოიწვევს მწვანე ნარგავების სიცოცხლისუნარიანობის შეწყვეტას/ გახმობას.

გარდა ამისა, გაცნობებთ, რომ მწვანე ქალაქის კონცეფციით, მიზანშეწონილია, შენობების მორგება/ ინტეგრირება მწვანე ნარგავებთან და არა პირიქით. ამდენად, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების მიზნით, დადგენილების 21^1-ე მუხლის საფუძველზე, სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნია, ასევე, **უცვლელად შენარჩუნდეს** დიდი დიამეტრის მქონე მრავალწლოვანი **1 ძირი N3 აკაციის ხე -46.2სმ,** იმავე ტერიტორიაზე.

სამსახური მას შემდეგ განიხილავს მცირე დიამეტრის მქონე ხეების გადარგვისა და ხილ-კენკროვანი მცენარეების მოჭრის საკითხს, როდესაც განმცხადებელი საპროექტო გეგმას დააკორექტირებს, ისე რომ გათვალისწინებული იქნება დიდი დიამეტრის მქონე ხეების შენარჩუნება.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)



გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი